2-9034/25
01-07-2025

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის

დასკვნა

საქართველოს პარლამენტის წევრების: ზაზა ლომინაძის, ვლადიმერ კახაძის, ზაალ მიქელაძის, ირმა ზავრადაშვილის, სალომე ჯინჯოლავას, ლიკა შარტავას, რამინა (რიმა) ბერაძის, გრეტა წიწავას, ლევან მაჭავარიანის, ალექსანდრე დალაქიშვილის, ირაკლი კირცხალიას, ირაკლი შატაკიშვილის, ვლადიმერ ხინჩეგაშვილის, ირაკლი ჭეიშვილის, გიორგი სოსიაშვილის, ზურაბ რურუას, დათო კოდუას, ვარლამ ლიპარტელიანის, იოსებ ჯორბენაძის, ედიშერ თოლორაიას, ალუდა ღუდუშაურის, არჩილ ბერიძის, ირაკლი ხელაძის, თორნიკე ბერეკაშვილის, ბეჟან წაქაძის, სუმბატ კიურელიანის, ნინო წილოსანის, ეკა ჭიჭინაძის, ანზორ ბოლქვაძის, გიორგი გუგუჩიას, დავითი შერაზადიშვილის, ზვიად შალამბერიძის, გრიგოლ აბესაძის, იმედა ნიკურაძის, გიორგი ჩაკვეტაძის, ნოდარ ტურძელაძის, ეკა სეფაშვილის, დავით მათიკაშვილის, აკაკი ალადაშვილის, თენგიზ შარმანაშვილის, ვასილ ჩიგოგიძის, ზაალ დუგლაძის, ნიკოლოზ სამხარაძის, სავალან მირზოევის, გიორგი ხახუბიას, დავით კაჭარავას, ლაშა ტალახაძის, გენო პეტრიაშვილის, მაია ბითაძის, გიორგი ბარვენაშვილის, დიმიტრი ხუნდაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტების: „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და

„საჯარო შესყიდვების შეახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/76; 25.06.2025) შესახებ

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა 2025 წლის 1 ივლისს კომიტეტის სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების: ზაზა ლომინაძის, ვლადიმერ კახაძის, ზაალ მიქელაძის, ირმა ზავრადაშვილის, სალომე ჯინჯოლავას, ლიკა შარტავას, რამინა (რიმა) ბერაძის, გრეტა წიწავას, ლევან მაჭავარიანის, ალექსანდრე დალაქიშვილის, ირაკლი კირცხალიას, ირაკლი შატაკიშვილის, ვლადიმერ ხინჩეგაშვილის, ირაკლი ჭეიშვილის, გიორგი სოსიაშვილის, ზურაბ რურუას, დათო კოდუას, ვარლამ ლიპარტელიანის, იოსებ ჯორბენაძის, ედიშერ თოლორაიას, ალუდა ღუდუშაურის, არჩილ ბერიძის, ირაკლი ხელაძის, თორნიკე ბერეკაშვილის, ბეჟან წაქაძის, სუმბატ კიურელიანის, ნინო წილოსანის, ეკა ჭიჭინაძის, ანზორ ბოლქვაძის, გიორგი გუგუჩიას, დავითი შერაზადიშვილის, ზვიად შალამბერიძის, გრიგოლ აბესაძის, იმედა ნიკურაძის, გიორგი ჩაკვეტაძის, ნოდარ ტურძელაძის, ეკა სეფაშვილის, დავით მათიკაშვილის, აკაკი ალადაშვილის, თენგიზ შარმანაშვილის, ვასილ ჩიგოგიძის, ზაალ დუგლაძის, ნიკოლოზ სამხარაძის, სავალან მირზოევის, გიორგი ხახუბიას, დავით კაჭარავას, ლაშა ტალახაძის, გენო პეტრიაშვილის, მაია ბითაძის, გიორგი ბარვენაშვილის, დიმიტრი ხუნდაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტები: „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საჯარო შესყიდვების შეახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. (№07-3/76; 25.06.2025)

მოქმედი კანონმდებლობით ნარკომანიით დაავადებულ პირთა ოპიოიდური ჩანაცვლებითი თერაპიის საქმიანობა მაღალი რისკის შემცველ სამედიცინო საქმიანობათა კატეგორიას განეკუთვნება და მასზე სახელმწიფოს მხრიდან დაწესებულია და ხორციელდება მკაცრი კონტროლი, რაც შესაბამისი სამედიცინო მომსახურების პროცესში ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხეების არსებობითაა განპირობებული. გამოიკვეთა საჭიროება, რომ ოპიოიდური ჩანაცვლებითი მკურნალობის განხორციელებაზე სრული პასუხისმგებლობა აიღოს საკუთრივ სახელმწიფომ, რომელიც მისივე დაფუძნებული დაწესებულებების მეშვეობით უზრუნველყოფს ამ პროცესში ერთიანი სტანდარტის დამკვიდრებას და ყველა ღონეს იხმარს, გამოირიცხოს დადგენილი წესებისა და რეგულაციებისგან გადახვევის ცალკეული შემთხვევები. ეს ხელს შეუწყობს ნარკოტიკების

მოხმარებასთან დაკავშირებული ზიანის შემცირებას, რაც ჩანაცვლებითი მკურნალობის მთავარი მიზანს წარმოადგენს.

საქართველო ფსიქოტროპული ნივთიერებების, განსაკუთრებით, ბენზოდიაზეპინების გამოყენების მაჩვენებლით, უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა აშშ, ავსტრია, ისრაელი, თურქეთი და სხვა, რაც სავარაუდოდ ამ ჯგუფის პრეპარატების არარაციონალური დანიშვნით, დასაშვებზე მაღალი დოზის გამოყენებით და თვითმკურნალობით აიხსნება. აქედან გამომდინარე, ამ პროცესზეც საჭიროა კონტროლის გამკაცრება. შედეგად, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა (ნარკოტიკული საშუალებები და ფსიქოტროპული ნივთიერებები) იმპორტი და საბითუმო რეალიზაცია მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივა იქნება.

იმისათვის, რომ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულმა დაწესებულებამ შეუფერხებლად შეძლოს ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შესყიდვა შემდგომში საქართველოში მისი იმპორტისა და საბითუმო რეალიზაციის მიზნით, საჭიროა, რომ ამ დაწესებულების მიერ განხორციელებული შესყიდვები გამოვიდეს „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროდან და შესყიდვის ზოგად წესებს დაექვემდებაროს, რათა გამოირიცხოს ნებისმიერი სახის შეფერხება ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობის, ასევე დადგენილი წესით ფსიქოტროპული ნივთიერებებით მოსარგებლე პაციენტებისთვის საჭირო ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდების პროცესში.

კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საქართველოში დაბალანსებული და ზიანის შემცირებისკენ მიმართული ნარკოპოლიტიკის რეფორმის გასატარებლად, საკითხის სისტემური და კომპლექსური განხილვაა აუცილებელი. კომიტეტი მხარს უჭერს, რომ ოპიოიდური ჩანაცვლებითი მკურნალობის განხორციელებისა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა საბითუმო რეალიზაციის უფლება ჰქონდეს მხოლოდ შესაბამისი ნებართვის მქონე იმ იურიდიულ პირს, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დაფუძნებულია სახელმწიფოს ან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული/სახელმწიფოს მართვაში მყოფი იურიდიული პირის მიერ.

კომიტეტი მხარს უჭერს საქართველოს პარლამენტის წევრების: ზაზა ლომინაძის, ვლადიმერ კახაძის, ზაალ მიქელაძის, ირმა ზავრადაშვილის, სალომე ჯინჯოლავას, ლიკა შარტავას, რამინა (რიმა) ბერაძის, გრეტა წიწავას, ლევან მაჭავარიანის, ალექსანდრე დალაქიშვილის, ირაკლი კირცხალიას, ირაკლი შატაკიშვილის, ვლადიმერ ხინჩეგაშვილის, ირაკლი ჭეიშვილის,

გიორგი სოსიაშვილის, ზურაბ რურუას, დათო კოდუას, ვარლამ ლიპარტელიანის, იოსებ ჯორბენაძის, ედიშერ თოლორაიას, ალუდა ღუდუშაურის, არჩილ ბერიძის, ირაკლი ხელაძის, თორნიკე ბერეკაშვილის, ბეჟან წაქაძის, სუმბატ კიურელიანის, ნინო წილოსანის, ეკა ჭიჭინაძის, ანზორ ბოლქვაძის, გიორგი გუგუჩიას, დავითი შერაზადიშვილის, ზვიად შალამბერიძის, გრიგოლ აბესაძის, იმედა ნიკურაძის, გიორგი ჩაკვეტაძის, ნოდარ ტურძელაძის, ეკა სეფაშვილის, დავით მათიკაშვილის, აკაკი ალადაშვილის, თენგიზ შარმანაშვილის, ვასილ ჩიგოგიძის, ზაალ დუგლაძის, ნიკოლოზ სამხარაძის, სავალან მირზოევის, გიორგი ხახუბიას, დავით კაჭარავას, ლაშა ტალახაძის, გენო პეტრიაშვილის, მაია ბითაძის, გიორგი ბარვენაშვილის, დიმიტრი ხუნდაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტების: „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საჯარო შესყიდვების შეახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/76; 25.06.2025) პრინციპებს და მომზადებულად მიიჩნევს საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით დაჩქარებული წესით განხილვისათვის.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ზაზა ლომინაძე